საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-04/07

ქ. თბილისი 31.08.2021 წ.

„განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“ 2021 წლის 29 აპრილის №03-04/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების გამო, სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“, მდებარე: ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი, აგრეთვე, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47/50, მე-5 სართული) ვირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების, ქ. თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილებასთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვების, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება **„განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“** ობსერვატორიის დირექტორის 2021 წლის 29 აპრილის №03-04/04 ბრძანებაში და მისი მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „7. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 5 მაისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.“.

2. დაევალოს ობსერვატორიის დირექტორის თანაშემწეს (ე. დოხნაძე) და საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება: ობსერვატორიის თანამშრომელთა და ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) სტუმრობით დაინტერესებულ პირთა

ინფორმირება, ობსერვატორიის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ობსერვატორიის ვებ-გვერდზე (www.abao.ge) განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი **რევაზ ჭანიშვილი**